## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/133

ქ. თბილისი 29 მაისი 2018

**სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე**

**კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ნ. წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი 2018-2019 სასწავლო წლიდან სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (400 საათი), საგანთა ჯგუფი №65;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**